ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** სამშაბათი, 25 დეკემბერი **№ 1681**

ეთი დღის: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе»**. ტელეფონი № 372.

„ცნობის ფურცლის“ მე-1682 №-რი გამოვა პარასკევს, 28 დეკემბერს.

გენერალ-ადიუტანტი, გენერალი ინფანტერიისა, უგანათლებულესი თავადი

გრიგოლ ლევანის ძე დადიანი

გარდაიცვალა ქალაქ ქუთაისს, 24 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, მიცვალებულის სახლში, ბალახვანის ქუჩაზე. 27 დეკემბერს ქუთაისის საკათედრო ტაძარში წირვას გადაიხდიან და შემდეგ ცხედარს წაასვენებენ მარტვილის მონასტერში, სადაც 29 დეკემბერს დაკრძალავენ. (3—1)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	18 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
„	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით.

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. —კ.
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასი განაწილდება საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—3 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ხუთშაბათს, 27 დეკე **ქართული თეატრი** მბერს 1901 წლს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« ბ. გედევანოვის საბენეფისოდ »

გ. აბაშიძის მონაწილეობით პირველად ახალი პიესა

I

მუზმუზელა

კომ. 5 მოქ. მოლიერისა, თარგ. ი. მაჭავარიანისა.

II

ც ე ლ ქ ე ბ ი

ხუმრ. სიმღერებით 1 მოქმ. თარგ. ეფ. ნიკოლაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, მდივანი; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია**

მზადდება: „ორი ჯიბგირი“, „გაძარცვული ფოსტა“. რეჟისორი მ. ზუნია.

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

შემთხვევით **იყიდება** ტფილისში **ი. ი მაიერის** ხელსაქმის ცნობილი **მაღაზია** მთელის თავისის მოწყობილობით, საქონლითა და ქონებით და მასთან ფოჩის (ბახრამის) სახელოსნოთი. ფირმა არსებობს 1867 წლიდან. (3—214—3)

ე ქ ი მ ი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 12—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ე ქ ი მ ი

იაკობ ზაქარიას ძე

გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე, შინაგანის და ათაშანგის ავადმყოფობით. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85 (0—8)

კვირას, 6 იანვარს, 1902 წ.

ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში

გამართული იქნება

მეჯლისი

(ბალი)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.

ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის—ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ მეკარესთან. (10—2)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ამ №-თან „ცნობის ფურცლის“ ხელის-მომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** მე-20 ნომერი.

---

25 დეკემბერი 1901 წ.

„დიდებათა მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასაზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, აი წმიდა სიტყვები, რომელთაც ეს მეოცე საუკუნეა იმეორებს მთელი საქრისტიანო ქვეყანა! იმეორებს, მაგრამ, „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა: შუა უზის დიდი მზღვარი;“—ეს, დიდებული აზრი ზედ-გამოჭრილი დახასიათებაა საქრისტიანო ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობისა.

მართლაც, სად არის მშვიდობა ქვეყანასაზედა და სათნოება კაცთა შორის?! პირიქით, ეგოიზმი გამეფებულია ერთა ურთიერთობაშიაც და კაცთა შორისაც. ადამიანთა სისხლი იღვრის განუწყვეტლად და ეგოიზმის მეფობის აღსასრულის დღეს ჯერაც ვერა ჰხედავს მოქანცული კაცობრიობა. შესანიშნავ ილლიუსტრაციას წარმოადგენს დღევანდელი ომიც: განათლებულ ერთა სათავეში მდგომი ინგლისი გაბოროტებით ებრძვის ერთ მუჭა ერს, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია, და ებრძვის გაშმაგებით, ლამის სრულიად აღგავოს მისი სახსენებელი ქვეყნის ზურგიდან. გუშინ განათლებულ ერთა კავშირი ასეთისავე სიმწარით ებრძოდა ჩინელთ; გუშინ იგივე იყო, რაც დღეს არის, ხვალაც იგივე იქნება, რაც გუშინ იყო. განათლებული საქრისტიანო ქვეყანა თავიდან ფეხამდის შეიარაღებული სდგას და დღე-დღეზე საერთო შეტაკებისათვის ემზადება. ასეთია „ქვეყანასა ზედა მშვიდობიანოება“.

„კაცთა შორის სათნობა“ კიდევ უფრო შორს არის. დღევანდელი ცხოვრება—გამწარებული ბრძოლაა არსებობისათვის და ძმობა-ერთობა ცარიელი სიტყვებია, რომელთაც არავითარი საფუძველი არა აქვთ... მართალია, მრავალ საუკუნეთა ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია კაცობრიობისათვის, მართალია საქრისტიანო კულტურამ დიდათ წასწია წინ ადამიანთა ურთიერთობის გაუმჯობესების საქმე, მაგრამ ცხოვრების პირობანი ჯერაც ისეთნი არიან, რომ „მშვიდობა და სათნოება“ მწარე ირონიათ მიგვაჩნია ან შეუსრულებელ უტოპიით. ბევრი სახელოვანი მეცნიერი და ბევრი დიდებული ადამიანი სასოწარკვეთილებამ გამსჭვალა; დღევანდელი ცხოვრების საშინელმა სურათებმა რწმენა დაუკარგეს მათ და ამითი აიხსნება ჩვენის დროის ბევრი პესიმისტური მოძღვრება. სწავლა-განათლებაც წინ წავიდა, მეცნიერება სასწაულთ-მომქმედი შეიქნა, მატერიალური პროგრესი განსაცვიფრებელი არისო; მაგრამ ადამიანთა ურთიერთი ცხოვრება ისევ უსამართლობის, ძალ-მომრეობის და უკულმართობის სამეფოს წარმოადგენსო, ხოლო ადამიანის გული ისევე გაბოროტებულ, გაქვავებული არისო, როგორც ბარბაროსის გული იყოო. ასეთია პესიმისტთა გოდება, რომელთაც ხსნის იმედი აღარ აქვთ.

მაგრამ ჩვენის ცხოვრების პირობებშივე სძევს ძალა, რომელიც არღვევს დღევანდელ ურთიერთობის საფუძველს და ამზადებს ნიადაგს მომავლისათვის. ბრძოლა არსებობისათვის,—აი ის საშინელი საფუძველი, რომელზედაც აშენდა ადამიანთა ცხოვრება; მხეცთა ცხოვრების საფუძველი გადავიდა ადამიანთა ურთიერთობაში და, რასაკვირველია, ანალოგიური შედეგი მოავლინა. მოისპობა ეს საფუძველი, ესე იგი, არსებობისათვის ბრძოლა შეიცვლება სხვა დედა-აზრზე, მაშინ დამყარდება სრულიად სხვა პირობები და ქვეყნიერებაც მაშინ განახორციელებს წმინდა სიტყვებს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, მაშინ გამეფდება ის დიდი სიყვარული, რომელიც ამცნო ქვეყანას იმან, ვის დაბადებასაც დღესასწაულობს დღეს მთელი განათლებული ქვეყანა.

რ ო დ ე მ დ ე ს?..

კრიტიკასა და გაბოროტებულ ლაზღანდარობას შუა ის განსხვავებაა, რომ პირველი ასაბუთებს, იკვლევს და უტყუარ მსჯავრსა სდებს, მეორე—სტყუის, ამახინჯებს საგანს და ამცირებს პიროვნებას. კრიტიკა ყოვლად პატივსადებია, რადგან ძვირფასი იარაღია ჭეშმარიტების დასაცველად; ლაზღანდარობა—გაბოროტებული გულის მცენარეა, ულაზათო და უშნო. ამ მცენარის აღმოცენებასთანავე მწერლობაში საჭიროა ძირიან ფესვიანად მისი აღმოფხვრა, რადგან მწერლობა მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ტაძარია და არა ღვარძლის სათესი მინდორი.

სწორედ ეს აზრები მომივიდა თავში, გადავიკითხე რა ბ. მოსთუბრეს წერილი («კვალი» № 51). „კვალს“, როგორც „დემოკრატულ“ გაზეთს, უნდა ჰყოლოდა ბურჟუაზიული მოპირდაპირე. ეს იყო საჭირო არა მარტო ბურჟუაზულ მიმართულების დამარცხებისათვის, არამედ თვით „კვალის“ პოზიციის გამოსარკვევად და გასამაგრებლად. ამაში არა ბუნებრივი არა არის რა. არა ბუნებრივი და შეუწყნარებელი მხოლოდ ის არის, როდესაც თქვენ განსაკუთრებულ მიზნის მისაღწევად იარაღად გხდიან და გწამებენ იმას, რაც ეწინააღმდეგება თქვენს რწმენებსა და გრძნობებს.

ამ ექვსის თვის წინად „კვალმა“ ბურჟუაზიის ბაირაღტრად გამხადა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი თანამდებობის აღსრულება ჩემს წმინდათა წმინდას ჰლახავდა და შეურაცხჰყოფდა. მაშინ ახლად დავიწყე წერა. ვიფიქრე, ალბად ვერა ვსთქვი კარგად ის, რაც მინდოდა-მეთქი და ვეცადე უფრო გარკვევით გამეცნო მკითხველისათვის ჩემი აზრები. ჩემ ამხანაგებთან ერთად მეც მინდოდა უმრავლესობის ინტერესების დაცვა, ხოლო ამ უმრავლესობის კეთილდღეობისათვის ეროვნული ცხოვრების აღორძინება მიუცილებელ იარაღად მიმაჩნდა. მაგრამ, შეიძლება აქაც ვერა ვსთქვი, რაც სათქმელი იყო; შეიძლება საშუალებათა დასახელებაში უმთავრესი აზრი, ცოტა არ იყოს, დავფარე.

ყველა ეს შესაძლებელია, ხოლო ერთი რამ დარჩა ჩემთვის გაუგებარი. ნუ თუ მხოლოდ იმისათვის, რომ „კვალს“ ესაჭიროებოდა ბურჟუაზიის მომხრე მოპირდაპირე, ამ მოპირდაპირედ, გინდა თუ არა, მე უნდა გავმხდარიყავ? და საქმე სწორედ ასე დააყენეს. წინადაც და ახლაც მე ბურჟუაზიის ბაირაღს მაჭერინებენ და ჰსურთ ჩემი პიროვნება იარაღად გამოიყენონ. იმ თავითვე ჩემ მოპირდაპირეთ ცუდად გაზომეს ბრძოლის ველი და წისქვილის ფრთებს დაუწყეს ბრძოლა. ჩვენ ერთად მოქმედება გვინდოდა. ეს ამაყურად უარ-ყოფილი იყო. ჩვენ მაინც არა ვკარგავდით ამ იმედს. წარსულ თვის ამბებმა დაგვარწმუნეს, რომ ჩვენი მოლოდინი უსაფუძლო არ იყო. ჩვენი დაკავშირება შესაძლებელი შეიქმნა და თქვენ გამოიყენეთ კიდევაც ჩვენი დახმარება. მიუხედავად ამისა, დღეს იმეორებთ მაინც იმას, რაც არ უნდა გეთქვათ. თუ კრიტიკას ატანთ ძალას, იმისი მოთხოვნილება აასრულეთ მაინცა. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში მეტად თვალსაჩინოდ რჩება თქვენი ბოროტი განზრახვა—რაც გახდეს, გახდეს—თქვენი მოპირდაპირე აალაპარაკოთ და ამოქმედოთ თქვენი სურვილისამებრ.

მომიტევეთ, ბ. მოსაუბრე, მაგრამ თქვენი წერილი ნამდვილი ლაზღანდარობაა. ამ სიტყვას გაბედვით ვამბობ, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ განიზრახეთ ჩემი დამცირება თქვენი მკითხველების წინაშე. ხოლო გაფრთხილდით, არ გაგიგონ თქვენი განზრახვა...

ჩვენ არ გვსურს თავის გამართლება, დამტკიცება იმისი, თუ რას ვესწრაფებით და რას ვემსახურებით. ბ. მოსაუბრეს „პოლემიკა“ ყალბია; ეს სიყალბე განზრახ ჩაუდენია და მით უმეტეს დამაღონებელი და გულის დამჩაგრავია. როდის მოისპობა ყველა ეს? როდემდის უნდა ვასაზრდოვოთ მკითხველი გაბოროტებულ სულის ნაყოფით?..

არჩილ ჯორჯაძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. წადი, ჰკითხე ინგლისელებს: ბურების ხმალი რა სჭრიდა?—ცხენოსან ვაჟკაცს დაჰკვროდა, წვერი მიწასა დასწვდიდა!—პირდაპირ გიპასუხებენ ინგლისელები, იმიტომ გიპასუხებენ, რომ ინგლისელები ხალხი არიან. ათასი უკიჟინონ და უძრახონ, მაინც სხვებს, როგორც დღე ღამეს—სჯობიან. ხან-დახან ესენიც ამრუდებენ სიმართლეს, მაგრამ სხვები უარესს იქმოდნენ, ინგლისის მაგივრად ზოგიერთ დას. ევროპის სხვა სახელმწიფოს რომ ჰქონოდა ბურებთან ომი, ვერც კი გავიგებდით, რა ამბავი ხდება იქ. ბურების გამარჯვების ამბავს ხომ ნიტი თუ მოგვიტანდა, თორემ სხვა ფრივ ვერ ვღირსებოდით. ინგლისელი კორესპონდენტები კი გულ-ახდით და თან აღტაცებით აგვიწერენ ხოლმე ბურების გმირობასა და რაინდულ ქცევას: მაშ ინგლისელები გიპასუხებენ: «ბურების ხმალი ცხენოსან ვაჟკაცს დაჰკვროდა, წვერი მიწასა დასწვდიდა». ასეთი ძალა ჰქონია თავისუფლებისათვის თავ-დადებულ კაცის მკლავს, ასე ბასრივით უჭრია ძალ-მომრეობის წინააღმდეგ მებრძოლ ხმალსა ინგლისელნი თითონ ამბობენ: «თავისუფალი მოქალაქეები ყოველთვის ლომებსავით იბრძოდნენ ჩვენი ალვირ-ახსნილი კაპიტალისტებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ, მაგრამ ტვიფონტეინთან ისეთი გასაშტერებელი გმირობა გამოიჩინეს, რომ წინანდელი მათი თავ-განწირული ბრძოლა სულ დაგვავიწყეს. თუ გნებავთ კიდევ, და ინგლისური გაზეთები დაწვრილებით, სულ თითო თითოდ მოგვითხრობენ ამ ბრძოლის ამბავს:

პოლკოვნიკი ფირმანსის რაზმი, სრული ოთხი როტა, ტვინფონტეინთან მთის წვერზე დაბანაკდა. ეს ძლიერ მაღალი, მიუვალი მთაა: აქეთ იქით სულ ფრიალო ციცაბო კლდეები აქვს. მთის წვერზე მარტო ერთი გზით შეუძლიან კაცს ასვლა. ფირმანსი თითონ იქ არ იყო, მის მაგიერ მაიორი უილიამსი ეწეოდა უფროსობას. უილიამსი დარწმუნებული იყო, რომ იმისთანა მიუვალ ადგილს მტერი ვერას დააკლებდა, მაინც ხომ, იცით «სიფრთხილეს თავი არა სტკივაო», სარდალმა სალაღფეხო ბილიკები გაამაგრა და მთის კალთებში ყველგან დარაჯები დააყენა. ორი ზარბაზანიც ჰქონდა; ესეც კარგ მოხერხებულ ადგილას დაწყო. უილიამსი იმიტომ გაფრთხილდა ასე, რომ კარგად იცის, თავისუფალ მოქალაქეების ამბავი: ბურებმა ამ ომის დროს ბევრი ისეთი გასაშტერებელი საქმე მოახერხეს, რაც სხვას სიზმრადაც არ მოელანდებოდა. ადგილი მიუვალია, კარგადაც გავამაგრეთ, აქ ეშმაკიც ვერას დაგვაკლებსო, სთქვეს ინგლისელებმა, გული გულის ადგილას ჩაიდეს და დაღალულ-დაქანცული ჯარი მოსვენებას მიეცა. სწორედ ქრისტეს შობის წინა დღე იყო, ალილობა დღე, და ინგლისელებიც თავიანთ საყვარელ, პირველი უქმის თადარიგს შეუდგნენ. გულ-დამშვიდებულმა ახალგაზრდა ჯარის კაცებმა სულ თავიანთ საყვარელი სამშობლოს ფიქრს და მოგონებაში გაატარეს ეს დღე. დაღამდა, შობის კაშკაშა ვარსკვლავი ამობრწყინდა, ყმაწვილმა ხალხმა კარგა ხან იმხიარულა და ბოლოს დაიძინა ტკბილის ძილით.

აქვე ამ მთის ახლო იდგა მოქალაქეების ჯარიც. მოქალაქეებმა სთქვეს: ჩვენც ქრისტიანები ვართ და ინგლისელებიც, ორივე ერთი სარწმუნოებისა და ერთი ტომის ხალხი ვართ, ჩვენცა და იმათაც ერთნაირად გვწამს დღევანდელი უქმე, მაგრამ რას იზამს კაცი, მანამ თავს არ დაგვანებებენ და თავიანთ ძალმომრეობაზე ხელს არ აიღებენ, ჩვენ ჩვენსას არ მოვიშლით და, სადაც კი მოვახერხებთ, მოსვენებას არ მივცემთ. ვერც შობა დღე დაგვაყენებს და ვერც აღდგომა. მართალია, ახალგაზრდა ინგლისელი ჯარის კაცები ძლიერ გვენანება, გული გვიკვდება, როცა იმათ თოფს ვესვრით, მაგრამ ეგეც ჩვენი ბრალი როდია, ეგ ცოდვა იმათ კაპიტალისტებსა და ფინანსისტებზე მოდგება. კარგი იყო, რომ უდანაშაულო, ლუკმა-პურის მოყვანილ ჯარის კაცების მაგივრად იმათი მთავრობა, იმათი კაპიტალისტები: სესილ როდსი, ბეიტსი და ამხანაგობა და მრავალი სხვანი ჩაგვეგდო ხელში, იმათთვის აგვეგო წესი და ანდერძი, მაგრამ ეგეც ჩვენი ბრალი როდია, რომ ეხლანდელ დროში თითონ ომის ამტეხი და დამწყები სახლში არხეინად ზის და თავის მაგივრად საწყალ, მშიერ ხალხს ჰგზავნის გასაწყვეტად. ამიტომ ნურას უკაცრავად ინგლისელ კაპიტალისტებთან, თუ იმათ ჯარს შობა ღამესაც ძილი დაუფრთხეთ. მაინც დღეს ალილობა ღამეა და მოუხდებათ კიდეც, რომ ერთი კაი ალილო უთხრათო. კიდე ნურას უკაცრავად ინგლისელ კაპიტალისტებთან, თუ ჩვეულებრივი ალილოს მაგივრად, ომის წესზე ვეტყვით ამ ალილოსაო.

ასე, მოქალაქეებმა გადასწყვიტეს: ინგლისელებს უსათუოდ ალილო უთხრათო. მთელ რაზმს არ შეეძლო მაღლა წვერზე ასვლა, ინგლისელები ხელად გაიგებდნენ და ალილოს აღარ ათქმევინებდნენ. ამიტომ უფროსი სარდლის რჩევით ასე დაიწყეს საქმე: 50 ოდე ნარჩევი ახალგაზრდა ციცაბო კლდეებზე აცოცდა და ინგლისის ბანაკში შეიპარა. დარაჯებმა თვალიც კი ვერ დაჰკრეს. ბანაკში ინგლისის ჯარს არხეინად ეძინა. ალილოს მაგივრად ბურებმა ყიჟინა დასცეს ინგლისელებს და საშინელი თოფის სროლა ასტეხეს. მთელ ბანაკს დაურბინეს და თითქმის ყველა კარვები აშალეს. ისეთი ამბავი ასტეხა ერთმა მუჭა გმირებმა, რომ ნამძინარევ ინგლისელებს ეგონათ: დიდი ჯარი დაგვესხა თავსაო. ინგლისელებს ნამდვილად შიშის ზარი დაეცათ. ჯერ ბრძოლა დაუწყეს ბურებს, მერე კი იფიქრეს, სულ ერთია, არა იქნება რა, გვაჯობებენო, და მთის მირისკენ დაიხიეს. გზაში კიდევ ბურების რაზმი დაუხვდა და ყველანი—400-ზე მეტი კაცი,—დაატყვევა. ორი ზარბაზანიც რომ ჰქონდათ, ისიც წაართვა.

ზოგი ამბობს: ზარბაზნები თითონ ინგლისელებმა აჩუქეს ბურებსაო: მოგვეწონა კაი ალილო რომ სთქვით; ამიტომ ეს ზარბაზნები თქვენთვის გვიფეშქაშებიაო.

ასეთი ალილო კი უთხრეს ბურებმა საწყალ ინგლისელ ჯარის-კაცებს...

ვინ იყო ბურების სარდალი, ვინ მოაწყო ეს საქმე, ვისი უნარი იყო ეს გამარჯვება?—იკითხავთ თქვენა.—ეს გამარჯვება «სამხრეთ-აფრიკის შევარდენისა», ქრისტიან დევეტის უნარი იყოო,—ამბობენ ინგლისელები.

ეს ვაჟკაცობის ამბავი მოვახსენეთ, ეხლა კიდე ბურების კაი-კაცობის და რაინდობის ამბავს შეგატყობინებთ.

როცა ინგლისის ჯარს დევეტის რაზმმა გზა შეუკრა, ბურებს შეეძლოთ სულ ერთიანად ამოეწყვიტათ ინგლისელები, მაგრამ ერთისთვისაც არ უხლიათ ხელი, ერთისთვისაც არ უსვრიათ თოფი. მარტო დაატყვევეს. ვინც კიდე დაჭრილი იყო ინგლისელებში, ყველას ისე მოუარეს, როგორც თავიანთ ღვიძლ ძმასა და გულითად მეგობარს. თითონ ბურების მოსისხლე მტერი ინგლისური გაზეთი «ტაიმს»-იც კი აქებს ბურების რაინდულ ქცევასა და კაცთმოყვარეობას. ვაჟკაცები ხომ არიან და არიან, მაგრამ კაცად-ადამიანად კიდე უკეთესები ყოფილან.

ასე დაჰხვდნენ ინგლისელები და ბურები ქრისტეს შობის დღესასწაულს (ევროპიელების და ბურების შობა 13 დღით ადრე მოდის ჩვენსაზე). ეს სისხლის დღე, ეს ხოცვა-ჟლეტა სულ ინგლისელი კაპიტალისტების და მათი ერთგული მსახური მთავრობის ბრალია. ბურებს ამდენ ცოდვაში ნამცეცი წილი არ უდევთ. პრეზიდენტი კრიუგერი ერთთავად სულ იმას სთხოვს ინგლისის მთავრობას, რად გინდათ რომ ერთმანეთსა ვჟლეტავთ. უკეთესი არ იქნება, სამედიატორო სასამართლოს მივანდოთ ჩვენი საქმის გადაწყვეტაო, მაგრამ ინგლისის მთავრობას ვერას გზით პირჯვარი ვერ დააწერინა. გაზეთები სწერენ, ქრისტიან დევეტის სამხედრო ალილო შიგ გულში სწვდა ჯიუტ ინგლისელ შოვინისტებსა და იმპერიალისტებსაო და, ცოტა არ იყოს, შერიგების გუნებაზე დააყენაო. ასე კარგი ყოფილა ხანდახან ალილოს თქმა.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 25 დეკემბერს, ქრისტეს შობის დღეს გორის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო კირიონის მიერ გადახდილ იქნება სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი სიონის საკრებულო ტაძარში.

◆ სახალხო კითხვათა **ქართული** სექცია ამ დღესასწაულებში ჰმართავს: 26 დეკემბერს საღამოს—კონცერტს, 30 დეკემბერს დილას—საბავშო წარმოდგენას და 4 იანვარს საღამოს ქართულ წარმოდგენას; დადგმული იქნება „დაქცეული ოჯახი“.

◆ კვირას, **ქართულს თეატრში** ჩვენმა არტისტებმა ითამაშეს ისტორიული დრამა „თამარ ბატონიშვილი“ და ვოდევილი „ქლიავი“. „თამარ ბატონიშვილის“ შესახებ ახალი არაფერი გვეთქმის; ამ დრამას ხალხი ძალიან სწყალობს, თუმცა შინაარსით დიდი ღირსებისა არ არის. არტისტებმა საერთოდ რიგიანად და მწყობრად ითამაშეს თავიანთი როლები წარსულს კვირას. განსაკუთრებით კარგი იყო ქ. ლეჟავა თამარის როლში. ახალგაზრდა არტისტ ქალს თვალსაჩინოდ ეტყობა წარმატება და რამდენიმე ხნის შემდეგ, იმედია, თავისუფლად შეასრულებს კლასიკურს როლებსაც. ვოდევილი მხიარული იყო და, როგორც ყოველთვის, კვირასაც ხელოვნურად ითამაშეს, განსაკუთრებით კარგი იყო ქ. გაბუნია-ცაგარლისა. ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ ტფილისში არსდება კიდევ ერთი **რუსული გაზეთი** «Тифлисскія Объявленія», რომლის გამოცემის ნება მიუღია ერთ ტფილისელ მასწავლებელს ვაჩიანცს. გაზეთის პროგრამა—დეპეშები, გამოსადეგი ცნობანი და განცხადებანი.

◆ 23 დეკემბერს, **კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა** განზრახულ საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტში შემდეგი ცვლილებანი შეიტანეს: 29 მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ საზოგადოების წევრს ნება ექნება 6% გარდახდით აიღოს იმდენი ფული სესხად, რამდენიც მას საწევრო ფული აქვს შეტანილი საზოგადოებაში, მიემატა შენიშვნა, რომლის ძალითაც წევრს შეეძლება გამგეობის გარდაწყვეტილებით მეტი სესხის აღებაც, მხოლოდ უნდა წარუდგინოს გამგეობას თავდებად წევრთაგანივე არა ნაკლებ 5 კაცისა; მე-30 მუხლი შეიცვალა ისე, რომ 7 წევრის ნაცვლად საზოგადო კრებამ ყოველ შემდეგ წელიწადს უნდა აირჩიოს ხოლმე ერთად გამგეობაში 5 წევრი, რო-

---

ფელეტონი

„ბოროტ-მოქმედი“

(ან. ჩეხოვისა)

გამომძიებლის წინ სდგას პატარა ტანის, ჩონჩხსავით ჩამომხმარი და ჭრელ ბლუზაში გამოხვეული გლეხი. ხშირი ბალანი, ნაყვავილები სახე და პატარა მსხვილ წარბებში ჩამალული თვალები მის, ისედაც პირქუშ, სახეს უფრო მეტს სასტიკს გამომეტყველებას აძლევენ. ხშირი და ვინ იცის რამდენი ხნის დაუვარცხნელი თმა რაღაც საოცარ ქუდს მოგაგონებთ.

— დენის გრიგორიევ!—იწყებს გამომძიებელი—აბა ცოტა წინ წამოდექი და კითხვებზე მომიგე. მიმდინარე მკათათვის შვიდში რკინის გზის მოსამსახურეს ივანე აკინფიევს, მიმავალს რკინის გზის ლიანდაგის დასათვალიერებლად, 141 ვერსტზე უნახავხარ, რომ რკინის გზის ლიანდაგზე ქანჩებს თურმე ხსნიდი. აკინფიევი ამბობს, ზედ მივასწარი და ეს ქანჩი ხელიდან გამოვგლიჯეო... მართალია თუ არა?

— რა, ბატონო?

— მართლა ისე იყო, როგორც აკინფიევი ამბობს?

— როგორ არ იყო, ბატონო, მარა..

— კარგი. ეხლა ეს მითხარი, რად გინდოდა ქანჩი, რისთვის ხსნიდი?

— რაი, ბატონო?

— შენ, შენს რაის თავი დაანებე და კითხვაზეც პირდაპირ მომიგე: რად გინდოდა ეს ქანჩი, რომ ხსნიდი?

— რომ არა მდომოდა, ბატონო, ხომ არც კი მოვხსნიდი!—მიუგო ხრინწიანის ხმით დენისმა და თან ცალის თვალით ჭერს აჰხედა.

— მეც იმას გეკითხები, რისთვის დაგჭირდა მეთქი?

— ქანჩი, ბატონო? ჩვენ თევზის დასაჭერად ვხმარობთ მაგასა.

— ვინ ჩვენაო, რას ამბობ?

— ჩვენა, ბატონო, კლიმელი გლეხები...

— შენ, ჩემო ძამიავ, თავს კი ნუ იტუტუცებ, ადამიანურად მელაპარაკე. აბა რა თევზი უნდა დაიჭირო ქანჩითა?

— მე, შენი ჭირიმე, ჩემ სიცოცხლეში ტყუილი არ მითქვამს და ახლა რად ვიტყვი?—თვალების ხშირი ხამხამით ბუტბუტებდა დენისა,—მერე ვის გაუგონია, შენი ჭირიმე, რომ ნემსკავს ჩასაძირავი არა ჰქონდეს? თუ ნემსკავს ჩასაძირავი არა აქვს ზედა, რაც გინდა გაუკეთე, მაინც ვერაფერს დაიჭერს, რა, რა ვიცი... სტყუიო—დენისი იღიმება.—რა ეშმაკად, მინდა იმისთანა ნემსკავი, თუ წყალი მოიტივტივებს? ქორჭილა და ქარიყლაპია სულ-ყოველთვის წყლის ძირში არიან ხოლმე, შენი ჭირიმე, და ზეით პატარა თევზები თუ ამოვლენ ხოლმე. ნაფოტას და თავკობალას ხომ ვერ დაუწყებ დევნასა და!

— ახლა რაზე მომიყევი მაგ ნაფოტა თევზების ამბავი?

— რაო! თქვენ თითონ არა მკითხეთ, ბატონო? ჩვენში თავადებიც კი ეგრე იჭერენ და! რა ბევრი ლაპარაკი უნდა, შენი ჭირიმე, უკანასკნელი ბავშვი რა არის, ისიც კი არ გადააგდებს ნემსკავს, თუ ჩასაძირავი რამე არ მოაბა ზედა. რომელმაც არ იცის და ხამია, ის, რასაკვირველია, ისედაც წავა თევზის დასაჭერადა, მაგრამ რას დაიჭერს, შენი ჭირიმე! სულელისათვის ხომ არც კანონია დაწერილი...

— მაშ შენ უარს არა ჰყოფ, რომ რკინის გზის ლიანდაგზედ ქანჩი მოგიხსნია და თევზის დასაჭერად მოგიხმარია, ჰა?

— მა რად მინდოდა, შენი ჭირიმე, ხომ არ ვიკოჭავებდი და?

— ნემსკავს ჩასაძირავად ხომ ტყვიასაც კარგად მიაბამდი ან ლურსმანსა?

— ტყვიები ქუჩაზედ როდი ჰყრია, შენი ჭირიმე... ყიდვა უნდა და ლურსმანი კიდევ მაგისთვის როდი გამოდგება. ქანჩი სწორედ, რომ კარგია ამისთვის—მძიმეც არის და შუაშიც გახვრეტილია.

— როგორ ისულელებს თავსა! თითქოს გუშინ დაბადებულიყოს ან ზეციდამ ჩამოვარდნილიყოს. დავიჯერო არ გესმის, რომ ქანჩის მოხსნას შეიძლება დიდი უბედურება მოჰყვეს? რკინის გზის ყარაულს რომ თვალი არ შეესწრო, შეიძლება მატარებელი გადაბრუნებულიყო და ხალხი დახოცილიყო. ვინ იქნებოდა კაცის მკვლელი? რასაკვირველია, შენა.

— ღმერთმა დამიფაროს, შენი ჭირიმე. კაცი ძალად უნდა მოვკლა? ურჯულო ხომ არა ვარ, ან ყაჩაღი? მადლობა ღმერთს, აგერ ვბერდები კაცი და არამც თუ კაცი არ მომიკლავს, თავშიაც კი არ გამივლია მაგისთანა აზრები... გვიხსენ და დაგვიფარე, ღვთის-მშობელო მარიამ, მაგისთანა ბოროტისაგან!.. რასა ბრძანებთ, ბატონო?

— მაშ რისგან მოხდება ხოლმე, შენის აზრით, რომ მატარებელი მიდის. მიდის და უცბად გადაბრუნდება ხოლმე? მოხსენი ორი სამი ქანჩი და წავიდა, დაიღუპა მატარებელი!

დენისი იღიმება და ეჭვის თვალით შეჰყურებს გამომძიებელს.

— რამდენი წელიწადია, შენი ჭირიმე, მთელი სოფელი თევზითა ვცხოვრობთ და ქანჩებს კი რკინის გზაზედ მოვხსნით ხოლმე, მაგრამ დღევანდლამდე ღმერთი გვფარავდა... თქვენ კი რაღაც დამსხვრევაზედ და ხალხის დახოცვაზედ ლაპარაკობთ... სულ რომ დამეშალა რკინის გზა ან არა და ბოძები დამეყარა გზაზედ, კიდევ ჰო, შეიძლება გადაბრუნებულიყო მატარებელი, მაგრამ ეს პატარა ქანჩი რა არი, რომ ამან

მელნიც, თანახმად ამ კრებაზედვე შეცვლილ მე 31 მუხლისა, თავჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს თვითვე თავის წრიდან ამოირჩევენ. დანარჩენი ნაწილი პროექტისა თითქმის შეუცვლელად იქმნა დამტკიცებული, ხოლო ბოლოში მიემატა მე-42 მუხლი, თუ როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება თავის საქმეების ლიკვიდაციის დროს. კომისიას, სხვათა შორის, მიენდო პროექტის დამზადება და ყველა ცვლილებათა მოხდენა, რომლის შემდეგაც პროექტი გარდაეცემა კავკასიის სამეურნეო საბჭოს კანცელარიას, სადაც ყველა მსურველნი ამ საზოგადოების წევრობისა უნდა შევიდნენ და ხელი მოაწერონ. ხელის მოწერის შემდეგ კომისია პროექტს წარუდგენს დასამტკიცებლად უმაღლეს მთავრობას.

◆ შაბათს, 22 დეკემბერს, **ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა** არ მოხდა, რადგანაც ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა. საღამოს 9 საათზე შეიყარა სულ 26 ხმოსანი, რის შემდეგაც ქალაქის თავის მოადგილემ გაგზავნა მსახურნი, რომ საღმე ეპოვნათ ქალაქში ერთი მაინც არის ხმოსანი; მაგრამ ძებნითაც ვერა გააწყეს რა და საღამოს $9^1/_2$ საათზე გამოაცხადეს, რომ საბჭოს სხდომა არ შესდგა.

◆ კომისია ქალაქის გამგეობის წევრის ბ. ენფიანჯიანცის თავმჯდომარეობით შეუდგა უსახელო საზოგადოებისაგან წარმოდგენილის პროექტის განხილვას შესახებ **ელექტრონის ტრამვაისა.** კომისიის სხდომებში მონაწილეობას იღებს უსახელო საზოგადოების დირექტორიც ბ. რაგოლეერი.

◆ ქალაქში დაბრუნდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი **ბ. ზავადსკი,** რომელიც ჩრდილო-კავკასიაში მოგზაურობდა სასწავლებლების დასათვალიერებლად.

◆ გუბერნიის ადმინისტრაციამ შეიმუშავა დაწვრილებით **დადგენილებანი** მეეზოვების შესახებ და გადასცა დასაბეჭდად რამდენიმე ათასი ცალი. ყველა მეეზოვეს უნდა ჰქონდეს თითო ცალი დადგენილებათა. როგორც ვიცით, მეეზოვეთა ინსტიტუტი შემოღებულ იქნება 15 მომავალ იანვრიდან.

◆ ამასწინად გვქონდა აღნიშნული ჩვენს გაზეთში, რომ მთავრობამ გარდასწყვიტა ამიერ კავკასიის რკინის გზის ქვიათურის შტოს სადგურ **დარკვეთიდან დაბა საჩხერემდე რკინის გზა** გაიყვანონ. რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით, დარკვეთიდან საჩხერემდე ინჟინრებს გზის გეგმა უკვე გაუკეთებიათ და იჯარით გზის კეთების გასაცემად საზოგადო ვაჭრობა უკვე დაუნიშნავთ. საზოგადო ვაჭრობიდან, როგორც გვატყობინებენ, გზის გაკეთება იჯარით დარჩენია ერთს კაპიტალისტ-ბერძენს რამოდენიმე ას ათას მანეთში. გზის გაკეთებას გაზაფხულამდე შეუდგებიან.

◆ კავკასიის საბეითალო ნაწილის მმართველი **ბ. ზოლოტარევი** გაწვეულია პეტერბურგს სამსახურის საქმეების გამო, სადაც ამ დღეებში წავა.

◆ 22 დეკემბერს **ქალაქის საკრედიტო** საზოგადოებაში მოხდა საჯაროდ გაყიდვა იმ მამულებისა, რომლებიც ამ საზოგადოებაშია დაგირავებული და სარგებელი არ შეუტანიათ. სულ გასასყიდად დანიშნული იყო 20 მამული, რომელთაგან 16 გაიყიდა და დარჩა ოთხი. ვაჭრობაში მონაწილეობას იღებდა ამ საზოგადოების მმართველობის ერთ-ერთი წევრი მაგრამ მამული მაინც სხვა კერძო პირს დარჩა, რადგანაც ფასი აუწიეს. ცოტა არ იყოს, როგორღაც უხერხულად გამოდის, როდესაც ამისთანა ვაჭრობაში მონაწილეობას იღებენ საზოგადოების წევრები. დანარჩენი ოთხი მამულის გაყიდვა გადაიდვა 29 დეკემბრისთვის. სხვათა შორის, ამ ოთხ მამულში ურევია ლარიბოვის სახლიც, რომელიც 100,000 მანეთზე მეტად არის დაფასებული.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე **დაამტკიცა** საბჭოსაგან ამორჩეული ბ. სულიევი.

◆ კვირას, 23 დეკემბერს, სახელოსნო სასწავლებელში **გასინჯეს შეგირდების ნამუშევარი,** რომელთაც ამ წელს დაამთავრეს სწავლა. ამ ნამუშავრების გასინჯვას დაესწრნენ ქალაქის თავის მოადგილე ბ. შესტაკოვი, სასწავლებლის კომისიის თავმჯდომარე ბ. ალიხანოვი, ზოგიერთი წევრი სასწავლებლის კომისიისა, რკინის გზის სახელოსნოების უფროსი ბ. სტრეემსკი, ხელოსანთა მოურავი და რამდენიმე ამქრის უსტაბაშები. ყველა სამუშაო ჩინებული ნაკეთები აღმოჩნდა, და თუ რამე ნაკლულევანება შენიშნეს დამფასებლებმა, ისიც იმის წყალობით იყო მომხდარი, რომ იარაღები არა ჰქონიათ რიგიანები, და რაც კი ცოდნას შეეხება, ყველამ ერთის მხრივ აღიარა შეგირდების დახელოვნება.

◆ მიმდინარე საქმეების განსახილველად პარასკევს, 28 დეკემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება ქალაქის საბჭოს ტყის **მოვლა-მოშენების** კომისიას.

◆ ერევნის ოლქის სასამართლოში შეიტანეს საბრალმდებლო ოქმი მაზე, რომ **სამართალში არიან მიცემულნი:** კაზაკის ქალი ანასტასია ვორობცოვისა და ერევნის სობოროს წინამძღვარი დეკანოზი ლაზარე ტურიაშვილი, რომელთაც ბრალდებათ: პირველს, რომ მეორე ქმარი შეირთო, რისთვისაც ერევნის სობოროს კრებულს წარუდგინა ყალბი ბილეთი თავის ვინაობაზე სტანიცის სამართველოსაგან, ხოლო მეორეს, რომ 16 მაისს 1899 წ. უკანონოდ ჯვარი დასწერა ვორობცოვის ქალს დავიდოვზე, როდესაც იცოდა, რომ ქალი სხვაზე არის ჯვარ დაწერილი და რომ დაეფარა ეს დანაშაულობა, დამალა ანუ დახია ყალბი ბილეთი, რომელშიაც ვორობცოვისა კაზმაის ქალად იყო ნაჩვენები („არგონავტი“).

◆ რესტორანების, ტრაქტირების და საზოგადოდ სასმელი დუქნების **გახსნის ნებას** მომავალ წელში მისცემს მთხოვნელთ ქალაქის გამგეობა, მხოლოდ ტფილისის **პოლიცმეისტერთან** შეთანხმებით.

ქუთაისის ახალი ამბავი

— ამ დღეებში ქუთაისში დაბრუნდება პეტერბურგიდან მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ფ. ზდანოვიჩი, რომლის ჩამოსვლას მარგანეცის მრეწველნი მოუთმენლად ელოდებიან, რათა დააჩქარონ სინდიკატის საქმეები.

— 8 იანვარს, ქუთაისის საკრებულოს დარბაზში გაიმართება სალიტერატურო-საცეკვაო საღამო ქუთაისის სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. როგორც მკითხველმა იცის, ხსენებული ბიბლიოთეკა დაარსდა ადგილობრივ ინტელიგენციის ინიციატივით 1896 წელს ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსის სახელის სახსოვრად. პირველად ბიბლიოთეკას ჰქონდა სულ 250 ცალი წიგნი ქართული და რუსული, მოთავსებული იყო პატარა სახლში ბალახვანის ქუჩაზე, სობოროს მახლობლად და მისი წლიური ბიუჯეტი არ აღემატებოდა რამოდენიმე ასს მანეთს. დღეს კი 3,500 ცალზე მეტი სხვა-და-სხვა წიგნები აქვს, უჭირავს შესაფერი სადგომი «ფრანციის» სასტუმროს გვერდით, სამკითხველოც რიგიანადაა მოწყობილი და წლიური ხარჯი ათას მანეთს აღემატება; ჰყავს 300-მდე წლიური ხელის მომწერლები, რომელთაც 8000 ჯერ გაუტანიათ წიგნები, ყოველ დღიურ მკითხველთა რიცხვი წლიწადში 12,000 აღის. ორთა-შუა რიცხვით დღეში 20—100-მდეა. ერთად-ერთი ნამდვილი წყარო ბიბლიოთეკის შესანახავად ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მიერ დანიშნულ 100 მანეთია, დანარჩენს 800—900 მან. აგროვებს ადგილობრივად პატივცემული ქალი კონსტანტინეს ასული ჯინოვისა. 8 იანვარს განზრახულ საღამოს მთელი შემოსავალი დანიშნულია ზემო ხსენებულ მიზნისათვის (ყოველ წლიურად საღამოებიდან რჩება 300—400 მ.) და იმედი გვაქვს, ქუთაისის საზოგადოება ჩვეულებრივად თავისს წვლილს არ დაიშურებს და საღამოს დაესწრება. ე. კ. ჯინოვისა ამ დღეებში გაემგზავრა ტფილისში მომღერლების მოსაწვევად და ბიბლიოთეკის საქმეების მოსაწყობად. დასასრულ დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ის პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც დახმარებას უწევენ ბიბლიოთეკას ფულით და გამოცემებით.

პრესა

„ივერიის“ კვირის №-ში ბ. გოგებაშვილმა კიდევ გამოილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ უყურადღებოდ ვსტოვებთ მის უცნაურსა და უსამართლო სხვა-და-სხვა დასკვნათა და მოსაზრებათ, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია მის მიერ დამახინჯებული ფაქტი აღვადგინოთ. ბ. გოგებაშვილს არ სწამს ჩვენი განცხადება, რომ ჩვენ გვინდოდა დაბეჭდვა მისის პასუხისა ბ. იოსელიანის წერილზე და მოწმედ ბ. ქუჩუკაშვილი მოჰყავს. არ ვიცით, რას იტყვის ეს მოწმე, მაგრამ საქმე ასე იყო: ბ. გოგებაშვილმა, როგორც წინადაც ვწერდით, გამოგვიგზავნა თავის მოსამსახურეს ხელით ულტიმატუმი: თუ ორ დღეში ჩემი წერილი არ დაიბეჭდება, ეხლავე უკან გამომიგზავნეთო. ჩვენც ავიღეთ და სიტყვის უთქმელად წერილი გადავეცით ულტიმატუმის მომტანს. მეორე დღეს რედაქციაში მოვიდა ბ. ქუჩუკაშვილი და დაგვეკითხა—გოგებაშვილის წერილს ჰბეჭდავთ თუ არაო. ჩვენ ვუპასუხეთ—არა. მაშ, წერილი გადმომეცითო, გვითხრა მოციქულმა და გაოცდა კიდეც, როდესაც გაიგო, რომ წერილი ბ. გოგებაშვილმა უკვე წინა დღით წაიღო. „როგორ უნდა დავბეჭდოთ, როდესაც წერილი უკვე წაღებულია“,—აი სიტყვა-სიტყვით ის პასუხი, რომელიც მიიღო ბ. ქუჩუკაშვილმა რედაქციის გამგისაგან. ბ. გოგებაშვილი კი ირწმუნება, ვითომ ქუჩუკაშვილი „მიზეზის“ შესატყობად გამოგზავნა.

შემდეგ ხსენებულ კითხვა-პასუხისა, რედაქციაში დამსწრეთ დაიწყეს ბაასი იმ პოლემიკის შესახებ და, მართლაც, რედაქციის გამგემ სთქვა,—კარგი იქნება, რომ სრულიად შეწყდებოდეს პოლემიკა, რომელმაც ყველას თავი მოაბეზრაო. ეს შენიშვნა კერძოდ იყო წარმოთქმული, როგორც pium desiderium და სრულიად არ შეეხებოდა ბ. გოგებაშვილის წერილს. ბ. გოგებაშვილი სწერს, ვითომ ბ. ქუჩუკაშვილს წერილი მოეტანოს რედაქციაში სიმართლის აღსადგენად. არავითარი წერილი ბ. ქუჩუკაშვილისა ჩვენ არ გვინახავს. მან კერძოთ გვითხრა, გოგებაშვილი მთხოვს წერილი დავსწეროთ და როგორ მოვიქცეო. ჩვენ ვეუბნებოდით, როგორც ჰსურს ისე მოიქცეს, ხოლო რედაქციის ერთ-ერთმა წევრმა უთხრა—ურჩიე გოგებაშვილს თითონ დასწეროს, შენ კი თავი დაანებეო. ეს იყო კერძო ლაპარაკი და, ვიმეორებთ, ბ. ქუჩუკაშვილს თავისი წერილი რედაქციაში არ მოუტანია.

აი როგორ იყო ფაქტი და ახლა თვით მკითხველმა განსაჯოს—რამდენად მართალია ბ. გოგებაშვილი და რამდენად საკდრისია ფაქტის ასეთნაირად დამახინჯება!

ბ. გოგებაშვილი გვიწვევს—გადავბეჭდოთ მისი პასუხი „ივერიიდან“. ეს ჩვენ მეტად მიგვაჩნია. ვისაც ინტერესებს აღძრული

რა ჰქნას.

— გაიგე, შე სულელო, რომ რელსები ამისთანა ქანჩებით არიან მიმაგრებულნი!

— ეგ როგორ არ გვესმის, შენი ჭირიმე... აკი სუყველას არ მოვხსნით ხოლმე. აქა-იქ მოვსხნით—მარა. სულელები ხომ არა ვართ.

დენისი დაამთქნარებს და პირ-ჯვარს ისახავს.

— შარშან რომ გადაბრუნდა მატარებელი, ეხლა მესმის სადა ყოფილა მიზეზი— ამბობს გამომძიებელი.

— რაი, ბატონო?

— ეხლა მესმის-მეთქი, შარშან მატარებელი რად გადაბრუნდა.. ეხლა მესმის!

— მარა, რიდას წავლული ხარ, შენი ჭირიმე, თუ მაგასაც ვერ გაიგებ .. ღმერთს განა სამართალი არა აქვს! იმან იცის, ვისაც მისცემს ცოდნასა და სწავლას... აი თქვენ რომ დაფიქრდით, სუყველაფერი გაიგეთ—ის ყარაული კი ჩემსეებ გლეხია და აბა რა იცის იმან, შენი ჭირიმე... ჩამავლო საყელოში ხელი და შიმათრევს. ეს გაიგე კარგად და მერე რაც გინდა მიყავი! გლეხია და გლეხური ჭკუაცა აქვს... აი, ბატონო, ისიც ჩაწერეთ, რომ ორჯელ შიგ კბილებში ჩამარტყა მუშტი და ერთი კიდევ გულში.

— სახლის გაჩხრეკის დროს შენ ერთი სხვა ქანჩი კიდევ თურმე გიპოვნეს... ის როდის-ღა მოჰხსენი?

— აი, წითელ სკივრ ქვეშ რომ ეგდო, იმაზედა ბრძანებთ, ბატონო?

— მე რა ვიცი, სად ეგდო, ის კი ვიცი, რომ შენ გიპოვნეს და! ის როდისღა მოხსენი მეთქი?

— ის მე არ მომიხსნია, შენი ჭირიმე.. ის ეგნატემ მომცა, აი მოგრეხილ სიმონას რომ ეძახიან—იმისმა შვილმა. ე მაგას იმაზედ მოგახსენებთ, სკივრ ქვეშ რომ იყო, ის კი მარხილში რომ იყო, მე და მიტრომ მოვხსენით.

— ეგ მიტრო ვინღაა?

— პეტროვი, შენი ჭირიმე, განა არ გაგიგონიათ? ბადეებს აკეთებს და კნიაზებს მიჰყიდის ხოლმე. თითო ბადეზედ სულ ცოტა ცოტა ათი ქანჩი მაინც დასჭირდება ხოლმე...

— ყური დამიგდე... სასჯელთა კანონის 1081 მუხლი ამბობს, რომ ყოველი განძრახვით რკინის გზის ლიანდაგის გაფუჭებისათვის, რომელსაც შეიძლება რამე უბედურება მოჰყვეს, თუ ბოროტ განმზრახველს ესმოდა თავისი საქციელის მნიშვნელობა, გესმის—ესმოდაო და შენ კი არ შეიძლება, რომ არ გესმოდეს ქანჩის მოხსნის მნიშვნელობა... მოჰყვება მოროტ-მომქმედის კატორღაში გაგზავნა...

— მარა, თქვენ უფრო არ გესმით, შენი ჭირიმე... ჩვენ რა ვიცით, უწავლელი, ბნელი ხალხი გახლავართ..-

— შენ კარგათ გესმის სუყველაფერი! ეგ ეშმაკობა სულ ტყუილად ჩაივლის, ჩემო ძამიავ, და მე ვერ მომატყუილებ.

— ტყუილს რად მოგახსენებ, შენი ჭირიმე?.. აი, თუ არა გჯერათ, სოფელში ჰკითხეთ... კლდი თევზი ხომ ცუდია და ისიც კი არ მივა ნემსკავზე, თუ ჩასაძრი არა აქვს.

— აბა ერთი ნაფოტა თევზზე მომიყევი კიდევ!—ამბობს ღიმილით გამომძიებელი.

— ნაფოტა თევზი, შენი ჭირიმე, როდი გახლავთ ჩვენ მდინარეში... თუ ჩასაძირი რამე არ მოაბი ნემსკავს, თავკომბალას თუ დაიჭერს და ისიც იშვიათად.

— კარგი, გეყოფა!..

სიჩუმე ჩამოვარდება, დენისი ფეხს გამოიცვლის. მწვანე მაუდ გადაფარებულ მაგიდას უყურებს და აჩქარებული ახამხამებს თვალებს, თითქოს, მაუდს კი არა, მზეს უყურებს და თვალი ვერ გაუშტერებიაო. გამომძიებელი აჩქარებული სწერს.

— მე წავიდე, შენი ჭირიმე? ცოტა სიჩუმის შემდეგ ეკითხება დენისი.

— წახვიდე კი არა, მე მოვალე ვარ სატუსაღოში გაგზავნო. დენისი გაშტერდება და წარბების ხშირი აწევით შეჰყურებს მოხელეს.

— როგორა, შენი ჭირიმე, სატუსაღოში? მე სადა მცალიან, ბატონო. . დღეს ბზობაა, უნდა წავიდე და იაგორა ვნახო... ქონის სამი მანეთი ჯერ არ მოუცია, შენი ჭირიმე...

— გაჩუმდი, ნუ მიშლი!

— სატუსაღოში რა—რითვინო, ბატონო, ნეტა რამე დამეშაებინოს მაინც... ხომ არც მომიპარნია რამე და არც მიჩხუბნია... თქვენ თუ ნედოიმკაზედა ბრძანებთ.. მამასახლისს ნუ დაუჯერებთ, შენი ჭირიმე, ჩემი მტერია... აი თუ გინდა ნაჩალიკსა ჰკითხეთ... ი მამასახლისი ურჯულოა, ქრისტიანი არ გახლავთ, შენი ჭირიმე...

— გაჩუმდი მეთქი, გეყოფა!

— მე ისეც ჩუმათ გახლავართ...—ბუტბუტებს დენისი—იტ რასტას ბრალი კია სულა, თუ გინდ ხატზე და ჯვარზე დავიფიცავ.. ჩვენ სამნი ძმანი გახლავართ, შენი ჭირიმე.. კოზმა გრიგორიევი, ეგორა გრიგორიევი და მესამეც ხომ მე, დენის გრიგორიევი...

— არ გესმის, მიშლი მეთქი? ბიჭო, სიმონ!—ჰყვირის გამომძიებელი—გაიყვანეთ ეს კაცი!

— სამნი გახლავართ,—როდესაც გვერდში ორი სალდათი ამოუდგა და გაჰყავდათ ისევ ბუტბუტებდა დენისი—ძმამ ძმის მაგივრად რად უნდა აგოს პასუხ? კოზმა ხარჯს არ იხდის და დენისი უნდა დატუსაღო?. კაი მოსამართლენი ყოფილხართ, აი! არ მომკვდარიყო ცხონებული ბატონი ღენერალი, ის გაწავლიდათ, როგორც უნდა კაცის განსამართლება.. უნდა იცოდე, გესმოდეს და ისე მოჰკიდო საქმეს ხელი... თუ გინდა გამროზგე, ენა მომჭრი, მაგრამ დანაშაულისთვის კია და სინიდისით, მაგრამ ეჰ!..

იგ. მოდუმორდვანოვი.

საგანი, ის ადვილად იშოვის „ივერიას“ და წაიკითხავს ბ. გოგებაშვილის პასუხს. ჩვენ ისედაც გაჭიანურებულად მიგვაჩნია ეს პოლემიკა და ორ-ორჯელ ერთისა და იმავე წერილის ბეჭდვა სწორედ სამძიმოა. ამიტომ ვსთხოვთ ბ. გოგებაშვილს, ბ. გოთუას წერილის პასუხიც „ივერიაში“ დაჰბეჭდოს: მან კარგად იცის, რომ მის წერილს ამ საგნის შესახებ წაუკითხავად არ დასტოვებს ის, ვისაც საქმის გაგება ჰსურს.,.

პროვინცია

ს. გლდანი (ტფილისის მაზრა). 9 დეკემბერს სოფელ გლდანში ადგილობრივმა მღვდელმა მ. ი. ანდრიაშვილმა აკურთხა სამი სამლოცველო ნიში: პირველი წმინდა თომას სახელობაზე, მეორე ღვთაების და მესამე წმ. მოწამე ბარბარეს სახელობაზე. დილის 10-საათზე დაიწყო წირვა. წირვაზე გალობდა გუნდი ამავე სოფლის მოწაფეთა, მთავარ-დიაკვნის მ. ი. სუხიტაშვილის დირიჟორობით. წირვის შემდეგ სამღვდელოება ხატებითა და ჯვრებით გაემართა იქით, სადაც აშენებულია ზემოხსენებული პირველი ნიში ძველ-გვირაბხოვლის ეკლესიის ნანგრევებზე და დაიწყო კურთხევა. კურთხევას დაესწრნენ: გენერალი ნიკოლოზ ზაქარიას ძე აქიმოვი—მეუღლით, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აქიმოვი, ექიმი გაწაძე მეუღლით, კნეინა ჯანდიერისა და სხვა მრავალი ხალხი.

ამის შემდეგ მთელი პროცესია გაემართა გამოღმა ღვთაების ნიშისაკენ და ბოლოს სკოლის გალავანში, სადაც აკურთხეს მესამე, ახლად აგებული ნიში წმინდა მოწ. ბარბარეს სახელობაზე. აქ კურთხევის შემდეგ მღვდელმა მ. ი. ანდრიაშვილმა შესაფერისად განუმარტა ხალხს მნიშვნელობა სამლოცველოებისა და ეკლესიებისა, აუხსნა ხალხს ის ღვაწლი და შრომა, რომელიც მიუძღვის ადგილობრივ მემამულეს პატივცემულ კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს აქიმოვს ამ ზემოხსენებულ ნიშების აგებაზე, ამის შემდეგ ხალხში გაისმა ერთხმად: «ღმერთმა აცოცხლოს, ადღეგრძელოს», რის შემდეგაც დიდათ ნასიამოვნები ხალხი 2½ საათზე დაიშალა. პატივცემულ კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს ამ 28 წლის წინათ, ჯერ ისევ ბავშვს 10—12 წლისას, განუზრახავს ზემოხსენებული ძველი-გვირაბხოვლის ეკლესიის ნანგრევებზე ნიშის აგება. შეუგროვებია 110 მანეთი ფული, მაგრამ რადგანაც დროს ნება არ მიეცა, ეს ფული მიუბარებია ადგილობრივ გლეხისათვის, რომ კიდევ მიემატებინა და როგორც კი შემთხვევა ნებას მისცემდა აღსრულებაში მოეყვანა განზრახვა, მაგრამ, როგორც სჩანს, ვერ მოუცლია წლევანდლამდე. ეს ერთი წელიწადია, რაც ავადმყოფობის მიზეზით დროებით, დაბრუნდა პეტერბურგიდან ბატონი კონსტანტინე თავის მამულში სოფ. გლდანში. რა შენიშნა ეს, ოდესმე წმინდა სამლოცველო ადგილები, დღეს უპატრონოდ და ხალხისაგან უყურადღებოდ დატოვებული, შეუდგა ხალხში ფულის შეგროვებას, იმ ადგილების გასუფთავებას და ნანგრევებზე ნიშების აგებას. ბატონი კონსტანტინე მიუხედავათ ავდრისა, ანუ კვირა-უქმე დღისა განუწყვეტლივ ერთგულად მუშაობდა ხალხთან ერთად.

საყურადღებოა ამისი ქცევა იმით უფრო რომ ბატონი კონსტანტინე სომეხთაგანია. მართალია, ეს ადგილები წინად ქართველ მემამულეებისა ყოფილა, რომელთაც მიუყიდნიათ სომხებისათვის, მაგრამ რამდენი ადგილებია ესლა ამ გვარად სომხების ხელში, რომელთაც მამულთან ერთად უყიდნიათ სამლოცველოებიც, მაგრამ იქ, სადაც ერთ დროს ქართველებს ღმერთი უდიდებიათ, დღეს ადარავერია. მაგრამ პატივცემულმა კონსტანტინემ არ გამოსწირა ეს ადგილი ქართველებს და თითქმის თავის ხარჯით ააგო სამლოცველო. გარდა ამისა არც ამ სოფლის სკოლა დასტოვა უყურადღებოდ. ამავე სკოლის ეზოში გამოასუფთავა კლდე, დაასვენა ხატი წმინდა ბარბარესი და მასთან ყულაბი. მლოცველნი სანთლის მაგიერ ფულს ყულაბში აგდებენ და ეს ფული სკოლას რჩება.

ა. პ—ლი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 დეკემბერი

პეტერბურგი. იმპერატორ პავლეს სახელობის სამხედრო სასწავლებელმა მე-103 წლის არსებობა იდღესასწაულა.

მოსკოვი. 23 დეკემბერს ისტორიკოსის კლუჩევსკის 30 წლის მოღვაწეობის დღესასწაული გადაიხადეს.

პენზა. აკურხეს საავადმყოფო, რომელიც „მოწყალების დების“ საზოგადოების სახლში გაიმართა ამ საზოგადოების უფროსის ქ-ნ პროტასიევის მიერ.

ეკატერინოსლავი. სამეცნიერო საზოგადოების წლიურ კრებაზედ დაადგინეს შესანიშნავის მოღვაწის პოლის სახელობაზედ საბუნებისმეტყველო და საისტორიო მუზეი დააარსონ. საზოგადოების თავმჯდომარედ ამისვე დამფუძნებელი პროფესორი კურილოვი აირჩიეს.

ვარშავა. ნება დართეს განსაკუთრებით თესლეულობის ბაზრობა გაიმართოს. ასეთი ბაზარი პირველი იქნება რუსეთში.

ხერსონი. აქ ჩამოვიდა არტელების დამაარსებელი ცნობილი ლევიტსკი. ფარმაცევტთაგან ზოგიერთმა სთხოვეს ლევიტსკის საარტელო აფთიაქის გახსნა. ფულიანმა კაცებმა დახმარება აღუთქვეს ასეთის აფთიაქის დაარსებას, რომელიც პირველი იქნება რუსეთში.

კიევი. პურის ბაზარი სამხრეთ-დასავლეთ მხარეში მკვიდრია; შესამჩნევი ცვლილება არ არის. კიევის ზევითა და ქვეით დნეპრზე ყინული გადნა. უთოვლობის გამო სანოვაგე გაძვირდა.

ბორისოგლებსკი. ისევ სითბოები დაიჭირა. გზების გაფუჭებამ ვაჭრობას ავნო.

ჩერნიგოვი. თოვლი დადნა. რამდენიმე დღეა, რაც წვიმს.

სამარა. დათბა. წვიმა მოდის.

პენზა. დათბა. წვიმა მოდის. ორი გრადუსი სითბოა.

ჩისტოპოლი. ორი გრადუსი სითბოა; წვიმს.

ვენა. „ფრემდენბლატი“ ამბობს: „უმჯობესი იქმნებოდა თავად ჩარტორიჟსკის არ წარედგინა თავისი განცხადება გალიციის სეიმისათვის, რადგან ამ განცხადების განხილვა სეიმის საქმე არ არის. თუ მთავრობის წარმომადგენელმა პროტესტი არ განუცხადა ჩარტორიჟსკის, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მას არ ჰსურდა საქმე გამწვავებულიყო. ამას წინად მომხდარ ამბებმა საკმაოდ დაამტკიცეს, რომ, თუ ავსტრიისა და გერმანიის შორის გულწრფელი ურთიერთობა იქმნება, არავითარ სამწუხარო ინციდენტს ადგილი აღარ ექმნება და ამ ორ სახელმწიფოთა მეგობრობას სახიფათო გარემოება არ აღმოაჩნდება. ორივე სახელმწიფო გულ-წრფელად იცავს კავშირს იმიტომ, რომ თვითეული მათგანი შინაურ საქმეებში თავისუფალია“.

ბუენოს-აირესი. არგენტინისა და ჩილის შუა კამათი გამწვავდა. არგენტინის მთავრობას განზრახვა აქვს, შესწყვიტოს ჩილისთან დიპლომატიური ურთიერთობა და ამასთანავე მხედრობაცა და ფლოტს საომარ ფეხზე აყენებს.

ბერლინი. პროფესორი ვირხოვი ელექტრონის ტრამვაის ვაგონებიდან გამოსვლის დროს დაეცა და თეძო იტკინა; ჯანსაღად არის

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება იოჰანესბურგიდან, რომ ბრიუსისა და ჰამილტონის რაზმებმა, ერმელოს აღმოსავლეთით, 100 კაცი დაატყვევეს, მათ შორის გენერალი ერაზმუსიც.

ბარცელონა. მკაცრი ცენზურაა; ბევრის სახლი გაჩხრიკეს და ბევრი მოღვაწე დაატუსაღეს; ამბობენ, რომ ანარხისტების გაზეთებს აღკრძალავენ. მშვიდობიანობა აღდგენილია.

ევრიკა. გემიდან „ვალლა-ვალლოა“ 41 კაცი დაიკარგა.

პარიზი. სარტენეში (კორსიკა) მოკვდა პიეტრი, რომელიც ნაპოლეონ III დროს პოლიციის პრეფექტად იყო.

სოფია. საერო კრებამ 69 ხმით წინააღმდეგ 67-სა უარ ჰყო მთავრობის მიერ მოთხოვილი დროებით ხარჯთ-აღრიცხვა. საერო კრება დაითხოვეს.

პენზა. 23 დეკემბერს პენზაზე გაიარა გზათა მინისტრმა.

პარიზი. წელს მრავალი პატივისმცემელნი გამბეტასი წავიდნენ იმის სახლში ჟარდისს. ნადიმის შემდეგ სამხედრო მინისტრმა ანდრემ სთქვა, რომ მისის აზრით რესპუბლიკის დევიზს—„თავისუფლება—ძმობა და ერთობას“ ს უნდა მიემატოს მეოთხე „სამართლიანობა“.

პეკინი. ქვრივმა დედოფალმა გამოაცხადა სურვილი უცხოელებთან მეგობრულად განწყობილებისა. შემდეგ ნათქვამია, რომ უცხო სახელმწიფოთა ელჩებთან დაუყოვნებლივ მეგობრულ ურთიერთობას დაიჭერს, როგორც კი სამეფო სახლეულობა პეკინს მოვა. დედოფალი იმასაც აცხადებს, რომ საელჩო მანდილოსანთ ჩქარა მიიღებს სასახლეში. იმპერატორი უცხო სახელმწიფოთა ელჩებს მიიღებს იმ სასახლეში, რომელიც ქალაქის აღკრძალულ ნაწილშია და სადაც ჩინეთის მხოლოდ წარჩინებულ თავად აზნაურობას მიიღებდნენ ხოლმე.

მეორე ედიქტში გამოცხადებულია, კანსუს პროვინციის ქალაქ ნინგსიფუში ორი მისიონერი დაიღუპა, ამათგან მეორე, რომელსაც ჩინელები ცუნს ეძახიან, ჰრილობისაგან მოკვდა.

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ანატოლიის რკინის გზათა ოტომანიის საზოგადოებამ მიიღო ოსმალეთის მთავრობისაგან კონცესია ბაღდადის რკინის გზის გაყვანისა და ამ კონცესიის 40% დაუთმო საფრანგეთისა და ბელგიის კაპიტალისტებს, დანარჩენიდან 40% უნდათ დაუთმონ რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა იმ ქვეშევრდომთ, რომელთაც ოსმალეთთან სავაჭრო კავშირი აქვთ.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ივ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის სადამოს 7 ს. 45 წ. (8 ს 52 წ.); 2) სამგზავრო გადის-დილის .9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის სადამ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის სადამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2)—შუადამის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის დამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე, 1) საფოსტო მატარ. გადის სადამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1901 წლის 28 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე მის თანდასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით შესამაგრებელ კედლის გაკეთება, პროსელოჩნი ვიწრო ქუჩის მოკირწყვლა, სულ 2771 მანეთისა და 35 კაპ.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობები გამგეობის აშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—2)

ცინკოგრაფია
წიგნის გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ტელეფონი № 741.
საბედნიერ-დღეოდ
ისყიდება ფარმაცევტთა ამხანაგობის მაღაზიებში
(სასახლის ქუჩაზე და მუხრანიანთ ქუჩაზე)
შობის ხის სრული მორთულობა
კოლოფი 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 12, 15, 20 და 25 მანეთიანი. აქვე ისყიდება საგანგებოდ არჩეული **საჩუქრებისთვის** ფოტოგრაფიული აპარატები და მათი კუთვნილება, სტერასკოპები და მათთვის სურათები.
საპირფარეშო სამკაული და ყველა ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.
ადრესი ტელეგ.: Тиф. „Фармацевтика“.

ამხანაგობა „შრომა“
საკუთარ ხეხილეულობის სანერგედან ჰყიდის
ძლიერ იაფად დამყნილ
ნერგებს
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: აგრ. ლაგოდეხში—გ. ხაჩიკიანცს; ტფილისში—ბაღოსნობა «ფლორას» და მუშტაიდში—ზ. პრილიპკას.
კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—9)

გამოცემანი ძმ. იმედაშვილებისა №№ 19 და 20.
გასასყიდად გამოვიდა „ცხოვრების სარკე“ პიესების კრებული
მეორე წიგნი, სურათებით. 421 გვ. ფასი ერთი მანეთი.
შინაარსი: I—**ურიელ აკოსტა**, ტრაგ. 5 მოქ., გერმანიის მწერლის გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა; **უფროსი ძმა**, დრამა 1 მოქ. ალ. დოდესი, ფრანგულიდან თარგ. ივ მაჭავარიანისა; **ფული და ხარისხი**, კომ. 3 მოქ. აზიანისა; **ოსკარ პეტროვიჩი საიძიოს**, ვოდ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა, სომხურიდან თარგ. დ. ტერ-დავითიანცისა; **ჭკუისა მჭირს**, ორიგინალური კომ. 1 მოქ. ავქ. ცაგარლისა; **დათვი**, ვოდ. 1 მოქ. ან. ჩეხოვიდან, გად. გრ. ვოლსკის-მიერ; **დედაკაცმა აგვრია**, ახალი სცენები სოფლის ცხოვრებიდან დ. ნახუცრიშვილისა. II—**ლექსები, კუპლეტები** (ვაი-ვუის ხმაზე და სხვ.), **გურული სცენები**. III—**წერილები: თეატრი**, როგორც ზნეობრივი დაწესებულება შილლერისა, ახალი თარგმანი დ. ნახუცრიშვილისა, **დრამატიული ხელოვნების შესახებ**, ვ. აბაშიძისა, **ქართული თეატრი** და მისი მსახიობ-მოღვაწენი, ი. იმედაშვილისა, **სია** სათამაშოთ ნება-დართულ პიესებისა (გაგრძელება), **სურათები** (ეფ მესხისა, ნუცა ჩხეიძისა, აზიანისა, გ. სუნდუკიანცისა, ა ცაგარლისა, გ. ყიფიანისა?, ნ. გალუსტოვისა, ალ. თამაზიშვილისა). წიგნი შ იცავს 421 გვ. ფასი **ერთი** მანეთი. ეს წიგნი დაბეჭდილია ცოტა, მსურველთ ჩქარა შეიძინონ. უმთავრესი საწყობი: ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ი. ზ. იმედაშვილის წიგნის სავაჭროში. აქვე ისყიდება „**ცხოვრების სარკე**“ I წიგნი—ფასი 60 კაპ. ვინც ორივეს იყიდის, პრემიათ მიეცემა 10—20 კაპიკიანი ქართული წიგნი.
იანიჩარი ისტორიული დრამა 5 მოქ. დავით ნახუცრიშვილისა. (ეს პიესა დაჯილდოვებულია პრემიით 100 მან. დრამატიული საზოგადოების-მიერ). დაბეჭდილია ძრიელ ცოტა, შეიცავს 144 გვ. **ფასი 40 კაპ.**
(5—2) ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Георгiевская, книжн. магазинъ I. З. Имедашвили.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Декабря 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.